

აფხაზეთისკომისარიატის დეკრეტი აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიების მმართველობის შესახებ

აფხაზეთის კომისარიატმა თავის ამა 1919 წლის 1 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა:

1. ქ. სოხუმში მდებარე საკათედრო ტაძარი მნათის სახლთან ერთად, არქიელის სახლი და ყოფილი სასწავლებელთა საბჭოს შენობა აღიარებულ იქნეს ავტონომიური აფხაზეთის ეროვნულ მონაპოვრად.

2. სოხუმის არქიელის კათედრა ჩაითვალოს ვაკანტურად და მიღებულ იქნეს მისი სასწრაფოდ დაკავებისათვის ზომები მუდმივი და დამოუკიდებელი ეპისკოპოსის მიერ.

3. ეპისკოპოსის არჩევამდე, დროებით, დაინიშნოს აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიების მმართველი რეზიდენციით ქ. სოხუმში.

4. მმართველს მიეცეს უფლება: ა) გადაყვანის, ბ) დანიშვნის, გ) თანამდებობიდან სრულად გადაყენების, დ) ეკლესიების, მონასტრების და სხვა საეკლესიო დაწესებულებების რევიზირების და ე) იმ გვარი საეპარქიო დაწესებულებების დაარსების და ორგანიზაციისა როგორცაც ის საჭიროდ ჩათვლის.

5. მმართველს ბინად მიეცეს არქიელის სადგომი შენახვისათვის მისთვის ყველა იმ სახსრით სარგებლობის უფლების მინიჭებით, რომელიც აქამდე არსებობდა სოხუმის ეპისკოპოსისგან კარგულებაში.

6. მმართველს მიეცეს არქიელის სახლის და დრანდის მონასტრის უშუალო განმგებლობის უფლება.

7. წინამდებარე დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაევალოს შინაგან საქმეთა კომისრის მოვალეობის შემსრულებელს ი. ნ. ლორთქიფანიძეს

კომისარიატის თავმჯდომარე **დ. ემუხვარი**

შინაგან საქმეთა კომისრის **ი. ლორთქიფანიძე**

დედან თანსწორია:

კომისარიატის საქმეთა მმართველი კ. ჭანტურაია (ხელმოწერილია)

5 სექტემბერი 1919 წ. ქ. სოხუმი

(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, 1863. ანაწ. 1, საქ. 707, ფურც. 2. სა-კუთარი თარგმანი)